ოქმი:**ო03. 3725330001**

თარიღი:**26/11/2025**

# ოქმი № 2

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2025 წელი, 26 ნოემბერი
ქ.ოზურგეთი
10:30 -11:00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: გ. მდინარაძე, დ. ასათიანი, დ. კიკვაძე, გ. კალანდაძე, ნ. გობრონიძე, თ. ქინქლაძე, გ. გაბისიანი, კ. კვაჭაძე, ი. ჩიკაშუა, დ. თოიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

## დღის წესრიგი

ა(ა)ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრისა და სოფელ ცხემლისხიდის საბავშვო ბაღის მიერ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისაგან გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

**მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი**

**თანამომხსენებელი: სოფიკო რამიშვილი**

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია დღის წესრიგის პირველ საკითხზე, ხოლო ვრცელი ინფორმაცია კომისიის წესვრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა ს. რამიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკამ გააფორმა ხელშეკრულება და ა(ა)ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრსა და სოფელ ცხემლისხიდის საბავშვო ბაღთან 27 600 ლარის გრანტის გამოყოფის თაობაზე, 2 000 ლარი იქნება მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსება, თანხა მოხმარდება საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურის განვითარებას, კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს საკრებულოს თანხმობას გრანტის მიღებაზე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება განკარგულების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

**გადაწყვიტეს:**

სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვა-დამტკიცების მიზნით.


გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე



გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი